სერტიფიკატის გაცემის, შენარჩუნების, გაგრძელების, შეჩერებისა და გაუქმების პროცედურა

შეადგინა: ქ.ქუთათელაძემ	**შეამოწმა: მ.ტარსაიძემ**	**მოქმედებს:** **16.10.2025 წ.- დან**

სერტიფიკატის გაცემის, შენარჩუნების, გაგრძელების, შეჩერებისა და გაუქმების პროცედურა

1. პროდუქტის შესაბამისობის სერტიფიკაციის მიზანია დაადასტუროს განცხადებულ პროდუქტის ხარისხის მაჩვენებლების შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტებთან, ამ პროცედურის ძირითადი ამოცანაა: სერტიფიცირების დროს დაცული იყოს
-სსტ ისო/იეკ 17065:2012/2014 "შესაბამისობის შეფასება. მოთხოვნები პროდუქტებისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ." მოთხოვნები.

2. პროდუქტის სერტიფიკაცია ტარდება პროდუქტის დამამზადებლის, მომხმარებლის ან მომწოდებლის (შემდგომში_განმცხადებელი) ინიციატივით შესაბამისი განაცხადის შეტანის შემდეგ.

3. შესაბამისობის სერტიფიკაციის დროს განმცხადებელი, სერტიფიკაციის ორგანოსთან შეთანხმებით, ირჩევს ნორმატიულ დოკუმენტს და სერტიფიკაციის სქემას.

4. პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გამოიყენება სერტიფიკაციის სქემები შემუშავებულია სსტ ისო/იეკ 17067:2012 მიხედვით.

სერტიფიკაციის ორგანო ძირითადად იყენებს მესამე სქემას პროდუქტის სერიულ წარმოებაზე და1 b სქემას პროდუქტის პარტიაზე.
მესამე სქემა მოიცავს წარმოების მდგომარეობის შეფასებას და ნიმუშის გამოცდას. იგი გამოიყენება სერიული წარმოების პროდუქტისთვის.
1 b სქემას ითვალისწინებს განმცხადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდას.

5. პროდუქტის სერიული წარმოების დროს (მესამე სქემით), სერტიფიკაციის ორგანოს წარმომადგენლის მიერ ტარდება წარმოების მდგომარეობის ანალიზი, რომლის შედეგებზეც დგება შესაბამისი აქტი.

წარმოების მდგომარეობის ანალიზის დროს მოწმდება: ნედლეულის კონტროლი; პროდუქტის იდენტიფიკაცია; გამზომი საშუალებების და მოწყობილობების არსებობა და მდგომარეობა; პროდუქტის შენახვის, შეფუთვის, ნიშანდების მდგომარეობა, პერსონალი, საწარმოს ლაბორატორია, სანიტარული მდგომარეობა და სხვა.

6. პროდუქტის სერტიფიკაციასთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ანაზღაურებს განმცხადებელი. პროდუქტის ნებაყოფლობით სერტიფიკაციის ჩატარების საფასურის გაანგარიშების მეთოდიკა მოყვანილია დანართში.

7. პროდუქტის შესაბამისობის სერტიფიცირება მოიცავს:

_ სერტიფიკაციაზე განაცხადის და მასზე დართული დოკუმენტების წარდგენას სერტიფიკაციის ორგანოში;

¬_ განაცხადის განხილვას

_განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებას, ექსპერტის შერჩევას და განმცხადებელთან ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარებაზე ხელშეკრულების გაფორმებას.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის, სერტიფიკაციის სქემის და აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევას, ანაზღაურების პირობებს;

_პროდუქტის იდენტიფიკაციას და პროდუქტის ნიმუშების აღებას;

-წარმოების მდგომარეობის ანალიზს;

_პროდუქტის ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემას და გამოცდას;

_ მიღებული გამოცდების შედეგების ანალიზის შედეგად შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღებას:

_ შესაბამისობის სერტიფიკატის რეგისტრაციას და გაცემას;

_ სერიულ წარმოებაზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის შემთხვევაში სერტიფიცირებული პროდუქტის ზედამხედველობის ჩატარების პერიოდულობას;

8. პროდუქტის სერტიფიკაციის ჩასატარებლად განმცხადებელი განაცხადს წარადგენს აკრედიტებულ პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოში.

9. სერტიფიკაციის ორგანო, არა უმეტეს 4 დღის განმავლობაში, აწარმოებს განაცხადის და განაცხადზე თანდართული დოკუმენტების ანალიზს და ღებულობს გადაწყვეტილებას, აფორმებს ხელშეკრულებას ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარებაზე შერჩეული სქემის მიხედვით.

10. სერიულ წარმოებაზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების ვადის პერიოდში (თუ ის აღემატება სამ თვეს), პროდუქტის ხარისხის სტაბილურობისთვის, სერტიფიკაციის ორგანო ახორციელებს ზედამხედველობას.

ზედამხედველობის დადებითი შედეგების შემთხვევის დროს სერტიფიკატს უნარჩუნდება მოქმედების ვადა, ზედამხედველობის პროცესში აღმოჩენილი შეუსაბამობის ან სხვა მიზეზის გამო (მაგ. მომხმარებლის მიერ სავაჭრო ქსელში აღმოჩენილი შეუსაბამო პროდუქტი, საწარმოს დროებით რემონტში გასვლა. სერტიფიკაციის ორგანოში რაიმე ცვლილების შეტანის ან შეუსაბამობის გამო და ა.შ) დამტკიცდება შეუსაბამობა სერტიფიკაციის მოთხოვნებთან, სერტიფიკაციის ორგანო განიხილავს შესაბამისი ღონისძიების გატარების შესაძლებლობას. სერტიფიკატს მოქმედების დროებით შეჩერდებას მაკორექტირებელი ღონისძიებების ჩასატარებელი დროით ან გაუქმებას.

მომწოდებელი აჩერებს შესაბამისი პროდუქტის რეალიზაციას. მაკორექტირებელი ღონისძიების გატარების შემდეგ სერტიფიკაციის ორგანო განსაზღვრავს რა პროგრამით უნდა ჩატარდეს მაკორექტირებელი ქმედებების შესრულების შემოწმება, სრული ან რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. დამატებითი შედეგები ფორმდება შესაბამისი წესით და გრძელდება შესაბამისობის სერტიფიკატი.